



## „თანაარსებობა“ - ეთნონაციონალისტური ნარატივები საქართველოში

სოციალური მედიის მონიტორინგის ანგარიში

(თებერვალი-მარტი  
2021 წ.)

მედია მონიტორინგის ანგარიში მომზადდა დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მიერ (DRI), პროექტის „თანაარსებობა“ - ეთნონაციონალისტური ნარატივების შესწავლა საქართველოში“ ფარგლებში. პროექტი მხარდაჭერილია საქართველოში ნორვეგიის სამეფოს საელჩოს მიერ. პუბლიკაციაში ასახული პოზიციები და შეხედულებები ეკუთვნის პროექტის გუნდს და არ უნდა მოხდეს მისი აღქმა დონორის ოფიციალურ მოსაზრებად.

# 1. წინასიტყვაობა

აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის შეიარაღებული კონფლიქტის განახლებამ რეგიონში ახალი საინფორმაციო ომი გააჩაღა. ყარაბაღის კონფლიქტის პარალელურად, საქართველოში სოციალურ და ონლაინ მედიაში გააქტიურდა ანტიდასავლური რიტორიკა და დეზინფორმაციული ონლაინ კამპანიები. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი სხვადასხვა მედია საშუალებებმა ეთნიკური შუღლის გაღვივების მცდელობისთვის გამოიყენეს. შესაბამისად, გააქტიურდა ქსენოფობიური ონლაინ დისკურსიც.

ჩვენი დაკვირვება ცხადყოფს, რომ საქართველოში დეზინფორმაციული და პროპაგანდისტული მედია კამპანიის მნიშვნელოვან მიზანს დეზინტეგრაცია წარმოადგენს. ერთის მხრივ, შესამჩნევია ეთნიკურ ნიადაგზე საზოგადოების გახლეჩის სურვილი, და მეორეს მხრივ, დასავლური ინსტიტუტების მძლავრი დისკრედიტაცია. დეზინფორმაციულ მედია კამპანიაში საქართველოს წინააღმდეგ არაერთი მანიპულაციური ნარატივი გავრცელდა. სხვადასხვა პრორუსული მედია საშუალებები საქართველოს დასავლური კურსის დისკრედიტაციას და საზოგადოებაში ქსენოფობიური განწყობების გაღვივებას ცდილობდნენ.

ქართულმა პრორუსულმა მედია საშუალებებმა სომხეთის მარცხი პრემიერ-მინისტრ ფაშინიანის ლიბერალურ და დასავლურ კურსს დაუკავშირეს. სხვადასხვა პროპაგანდისტული მედია პლატფორმები ცდილობდნენ ყარაბაღის კონფლიქტში სომხეთის მარცხის საქართველოში დასავლური ინსტიტუტების დისკრედიტაციის მიზნით გამოყენებას. ვრცელდებოდა ნარატივები, რომლის თანახმადაც, ომი სომხეთმა პროდასავლური კურსის და ლიბერალური ღირებულებების გამო წააგო. პრორუსული მედია ასევე ცდილობდა „ფერადი რევოლუციების“ (საქართველო, უკრაინა, სომხეთი) სომხეთის მაგალითზე დაკნინებას და რეგიონში მისი, როგორც ჯორჯ სოროსის წარუმატებელი პროექტის, წარმოჩენას.

საქართველოსთან მიმართებაში არაერთხელ შეიქმნა პროვოკაციული და მანიპულაციური მედია კონტენტი. გააქტიურდნენ ულტრამემარჯვენე ლიდერებიც, რომლებმაც ყარაბაღის კონფლიქტი ლიბერალური ღირებულებების მარცხის მაგალითად წარმოაჩინეს. ონლაინ მედია პლატფორმებზე ხშირად ვრცელდებოდა რუსულენოვანი ყალბი ამბები, რომლის მთავარი მიზანიც საქართველოში არმენოფობიური და ანტიაზერბაიჯანული განწყობების გაღვივება იყო. ზოგადად, დეზინფორმაციულ კამპანიაში შესამჩნევი იყო რუსული კვალი და ქსელური, მანიპულაციური კონტენტი.

საერთო ჯამში, საანგარიშო პერიოდში, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ფონზე, ეთნონაციონალისტურ ნიადაგზე გავრცელებული დეზინფორმაციული ნარატივების 210 შემთხვევა გამოკვეთა 6 ტელეგრამ არხზე, 12 ფეისბუქ გვერდსა და 12 ვებგვერდზე. დეზინფორმაციული კამპანიის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იყო ფოტო/ვიდეო მანიპულაცია, რაც რუსული პროპაგანდის იარაღია.

## 2. მეთოდოლოგიური ჩარჩო

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მიერ განხორციელებული სოციალური მედიის მონიტორინგის შედეგს, რომელშიც გაანალიზებულია

2021 წლის თებერვალ-მარტში, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებული საინფორმაციო ომის და დეზინფორმაციული ნარატივების შინაარსობრივი მხარე და გავრცელების არეალი. ანგარიშში ასევე მოცემულია სხვადასხვა მედია პლატფორმებზე განთავსებული მანიპულაციური მედია კონტენტის ანალიზი და დეზინფორმაციული მედია კამპანიის ის ძირითადი საინფორმაციო მასალა, სადაც განსაკუთრებით გამოიკვეთა ქსენოფობიური და ანტიდასავლური განწყობები. საანგარიშო პერიოდში გაანალიზდა ტელეგრამ არხებზე, ონლაინ მედია პლატფორმებსა და სოციალურ ქსელებში გავრცელებული საინფორმაციო მასალის (ფოტო/ვიდეო, სტატიები და პოსტები) რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემები. დეზინფორმაციული ნარატივების გავრცელების სიხშირისა და არეალის ხარისხობრივი შესწავლა კი განხორციელდა ფეისბუქის ანალიტიკური ხელსაწყო CrowdTangle-ს გამოყენებით.

საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის შედეგად შესწავლილი დეზინფორმაციული ნარატივები სამ ძირითად მიმართულებად დავაჯგუფეთ: ანტიაზერბაიჯანული, არმენოფობიური და ანტიდასავლური. შინაარსობრივი ანალიზის მეთოდის გამოყენებით, გავანალიზეთ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ფონზე გამოკვეთილი მანიპულაციური და დეზინფორმაციული მედია კამპანიის ძირითადი რაოდენობრივი და შინაარსობრივი მახასიათებლები. თემატიკიდან გამომდინარე, მონიტორინგის ფარგლებში კვლევის დიზაინად შერჩეულ იქნა დისკურს ანალიზი. საკვლევ ობიექტებად კი განისაზღვრა ის რუსული, სომხური, აზერბაიჯანული და ქართული მედია პლატფორმები, ფეისბუქ გვერდები და ტელეგრამ არხები, რომლებიც ყველაზე ხშირად ტირაჟირებდნენ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გარშემო ქსენოფობიურ, ეთნონაციონალისტურ ნარატივებს და გამოირჩეოდნენ დეზინფორმაციული სარედაქციო პოლიტიკით.

მედიამონიტორინგის ფარგლებში, საკვლევი მონაცემების რაოდენობრივი და შინაარსობრივი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ შერჩეულ საკვლევ ობიექტებზე განთავსებული პოსტების ნახევარზე მეტი - 83% წარმოდგენილი იყო ტექსტური მასალის (სტატუსი, სტატია) სახით, ვიდეო კონტენტი მოიცავდა 3%-ს, ხოლო ფოტოები 14%-ს შეადგენდა. შესწავლილი პოსტების ჯამურმა ანალიზმა გამოავლინა, რომ ყველაზე მაღალი ონლაინ ინტერაქციით გამოირჩეოდა არმენოფობიური შინაარსის პოსტები.

### პოსტებზე ინტერაქციის რაოდენობა

ნარატივი	სტატუსების და სტატიების რაოდენობა	გაზიარების რაოდენობა	კომენტარების რაოდენობა	სხვა ტიპის რეაქციები	ჯამური ინტერაქცია
ანტიაზერბაიჯანული გზავნილები	40	2 300	435	1 110	3845
არმენოფობიური გზავნილები	45	5233	19 233	20 233	44699

ანტიდასავლური გზავნილები	125	10234	2367	3112	15713
-----------------------------	-----	-------	------	------	-------

მონიტორინგის ფარგლებში საკვლევ ობიექტად შერჩეული ტელეგრამ არხები:

1.	Mediaport	<a href="https://t.me/mediaport2020">https://t.me/mediaport2020</a>
2.	Karabah_news	<a href="https://t.me/karabah_news">https://t.me/karabah_news</a>
3.	Kolorit 18+	<a href="https://t.me/kolorit_18">https://t.me/kolorit_18</a>
4.	Armenian Military Portal	<a href="https://t.me/military_arm">https://t.me/military_arm</a>
5.	Artsakh Now / Karabakh now	<a href="https://t.me/Arcakhnow">https://t.me/Arcakhnow</a>
6.	Hay mtorum	<a href="https://t.me/hmtorum">https://t.me/hmtorum</a>

მონიტორინგის ფარგლებში საკვლევ ობიექტად შერჩეული ონლაინ მედია გამოცემები:

1.	bavnews.am	<a href="https://bavnews.am/">https://bavnews.am/</a>
2.	Oxu.az	<a href="https://oxu.az/">https://oxu.az/</a>
3.	Baku.ws	<a href="https://baku.ws/">https://baku.ws/</a>
4.	Armenpress.am	<a href="https://armenpress.am/rus/">https://armenpress.am/rus/</a>
5.	7or.am	<a href="https://www.7or.am/">https://www.7or.am/</a>
6.	Media.az	<a href="https://median.az/">https://median.az/</a>
7.	Kavkazplus.ge	<a href="http://ge.kavkazplus.com/index.php">http://ge.kavkazplus.com/index.php</a>
8.	Golosarmenii	<a href="https://golosarmenii.am/">https://golosarmenii.am/</a>
9.	Alt-info	<a href="https://alt-info.com/">https://alt-info.com/</a>
10.	ნიუს-ფრონტი	<a href="https://ge.news-front.info/">https://ge.news-front.info/</a>
11.	kentron.am	<a href="https://kentron.am/">https://kentron.am/</a>
12.	mamul.am	<a href="https://mamul.am/">https://mamul.am/</a>

მონიტორინგის ფარგლებში საკვლევ ობიექტებად შერჩეული ფეისბუქ გვერდები:

1.	Hayastan	<a href="https://www.facebook.com/Hayastans/">https://www.facebook.com/Hayastans/</a>
2.	BORCALI.PRESS. DIGEST	<a href="https://www.facebook.com/groups/zumnrud.orxan">https://www.facebook.com/groups/zumnrud.orxan</a>
3.	The caucasian telegraph	<a href="https://www.facebook.com/TheCaucasianTelegraph">https://www.facebook.com/TheCaucasianTelegraph</a>
4.	MƏN GÜRCÜSTANLIYAM	<a href="https://www.facebook.com/groups/1015249085537901">https://www.facebook.com/groups/1015249085537901</a>
5.	Gündəlik – Gürcüstan	<a href="https://www.facebook.com/gundelikgurecistan">https://www.facebook.com/gundelikgurecistan</a>
6.	თურქეთი ოკუპანტია	<a href="https://www.facebook.com/StopTurkishOccupation/">https://www.facebook.com/StopTurkishOccupation/</a>
7.	ფარნავაზიანი	<a href="https://www.facebook.com/FarnavaZiani">https://www.facebook.com/FarnavaZiani</a>
8.	BORÇALI	<a href="https://www.facebook.com/groups/elvar010/?ref=share">https://www.facebook.com/groups/elvar010/?ref=share</a>
9.	Themis	<a href="https://www.facebook.com/ThemisEstonia/">https://www.facebook.com/ThemisEstonia/</a>
10.	In Armenia	<a href="https://www.facebook.com/inarmenya/">https://www.facebook.com/inarmenya/</a>
11.	მსოფლიო საოჯახო კონგრესი	<a href="https://www.facebook.com/wcf10/">https://www.facebook.com/wcf10/</a>
12.	Alt-tv	<a href="https://www.facebook.com/alttv01">https://www.facebook.com/alttv01</a>

# 3. ანტიდასავლური და ანტილიბერალური დისკურსი სოციალურ მედიაში


ულტრამემარჯვენე ლიდერების ანტიდასავლური და ანტილიბერალური რიტორიკა

## ლევან ვასაძის ვიდეომიმართვა

საქართველოში, ყარაბაღის კონფლიქტის ფონზე, ულტრამემარჯვენე ლიდერებმა და პრორუსულმა მედია საშუალებებმა ანტიდასავლური და ანტილიბერალური რიტორიკა გააქტიურეს. „მსოფლიო საოჯახო კონგრესის“ ფეისბუქ გვერდზე ბიზნესმენმა ლევან ვასაძემ [ვიდეო მიმართვა](#) გამოაქვეყნა, სადაც აზერბაიჯანის გამარჯვება ლიდერის „სიძლიერესთან“, „არადემოკრატიულ, არალიბერალურ მმართველობასთან“ და საკუთარი ძალების კონსოლიდაციასთან დააკავშირა. ვასაძეს განცხადებით, „ეს გამარჯვება აზერბაიჯანის მხრიდან არ იქნებოდა შესაძლებელი, მათაც ჩვენი [საქართველოს] მსგავსი, ცისფერ-ვარდისფერი, ბუმბუბით ევროპის გამაკვირებელი დემოკრატიული მმართველობა რომ ჰქონოდათ.“

## ინტერვიუ ალექსანდ დუგინთან

1 თებერვალს ცნობილმა ულტრამემარჯვენე მედია პლატფორმა „ალტ ინფომ“ [ინტერვიუ](#) ჩაწერა რუს ულტრანაციონალისტ ფილოსოფოსთან და ევრაზიანისტული მოძრაობის ლიდერთან ალექსანდრ დუგინთან. დუგინმა სომხეთის მარცხი ყარაბაღში დასავლური ღირებულებების დემონიზაციისთვის გამოიყენა. მის ანტიდასავლურ რიტორიკაში შესამჩნევი იყო ირაციონალური შიშის დათესვის მცდელობა ტერიტორიების დაკარგვის მოსალოდნელ საფრთხესა და ომის საშიშროებაზე ხაზგასმით. „დასავლური კურსის შენარჩუნების შემთხვევაში, საქართველოც, სომხეთის მსგავსად, განწირული იქნება დასავლეთის მხრიდან და გახდება ერთგვარი პლაცდარმი დასავლეთისთვის, სხვა ქვეყნებთან ომის გასაჩაღებლად“ – აღნიშნულია ინტერვიუში. გარდა ამისა, დუგინი ინტერვიუში შეეცადა დასავლური ინსტიტუციების დაკნინებას და საქართველოს სტრატეგიული დასავლური პარტნიორებისადმი უნდობლობის გაღვივებას. დუგინის მსჯელობის მიხედვით: დასავლეთმა ვერ უზრუნველყო სომხეთის დაცვა ყარაბაღის კონფლიქტში; იგივე ბედს გაიზიარებს საქართველოც, ვინაიდან დასავლეთს არ შესწევს უნარი დაიცვას საქართველოს სუვერენიტეტი საჭიროების შემთხვევაში. ამის საპირისპიროდ, დუგინმა რუსეთი წარმოაჩინა, როგორც ალტერნატიული, მხარდამჭერი ძალა საქართველოსთვის, რომელიც ქვეყანას ლიბერალებისა თუ გლობალისტების თავსმოხვეული ღირებულებებისგან დაიცავს.



ალტერნატიული, სტუმარი: ალექსანდრე დუგინი (01.02.21)

## 4. სოციალურ მედიაში გავრცელებული არმენოფობიური ნარატივები

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ფონზე, დეზინფორმაციული კამპანიის ფარგლებში განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო არმენოფობიური ნარატივები. თებერვლის დასაწყისში, დეზინფორმაციის სამიზნე აღმოჩნდა საქველმოქმედო ფონდი „ჯავახეთი სომხების გვერდით.“ ფონდი სეპარატისტული ძალების მხარდამჭერად და საქართველოსთვის საფრთხედ გამოცხადდა. გარდა ამისა, რუსული, ქართული და აზერბაიჯანული მედიის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა აფხაზეთი. სხვადასხვა მედია პლატფორმებზე არმენოფობიური განწყობების გაღვივების მიზნით, აქტიურად გავრცელდა დეზინფორმაცია 3,000 სომხის აფხაზეთში ჩასახლების თაობაზე.

\*\*\*\*

25 თებერვალს, ტელეგრამ არხზე „ჯავახი“ გამოქვეყნდა [პოსტი](#), რომ ნინოწმინდაში ფონდის „ჯავახეთი სომხების გვერდით“ ახალი ფილიალი გაიხსნა. ოფისის გახსნას ადგილობრივი მოსახლეობა და სასულიერო პირები ესწრებოდნენ. სულიერმა მოძღვარმა ტერ არამაშ პოლოსიანმა ფონდის ახალი ფილიალის გახსნისას განაცხადა: „ახლა ჩვენთვის ძალიან რთული პერიოდია, ჩვენ გვჭირდება ფეხზე მყარად დგომა, არა მხოლოდ სიტყვებით, არამედ საქმითაც, იმის დასამტკიცებლად, რომ ჯავახეთი სომხეთის გვერდით არის.“ ფონდის დამფუძნებლების განცხადებით, ფონდი შექმნილია საქველმოქმედო მიზნებისთვის. [tv9news](#)-ზე გამოქვეყნებულ სტატია<sup>1</sup> ფონდის ერთ-ერთი დამფუძნებლის კარენ პაპიკიანის სიტყვებს ციტირებს: „ოფისის გახსნის მიზანი, სომხეთისა და საქართველოს მოქალაქეების დახმარებაა. ფონდის მიზანია, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონმა თანადგომა გაუწიოს ჯავახეთის, ყარაბაღის და სომხეთის მოქალაქეებს“. ნინოწმინდაში ფონდის ახალი ოფისის გახსნას გამოეხმაურა კიდევ ერთი რეგიონალური მედია [jnews.ge](#) სტატიით<sup>2</sup> „ნინოწმინდაში, „ჯავახეთი სომხეთა გვერდით“ ფონდის ფილიალი გაიხსნა“, სადაც ასევე მოცემულია დამფუძნებლის კარენ პაპიკიანის კომენტარი: „4 თვის განმავლობაში ჩვენ ვესტუმრეთ 10 000-ზე მეტ ადამიანს, დაჭრილ ჯარისკაცებს და ასევე გარდაცვლილი ჯარისკაცების ოჯახებს. ჩვენ გვაქვს 2 სამშობლო, საქართველო და სომხეთი და თუ ღმერთმა არ ქნას და რამე მოხდეს, ჩვენც საქართველოს გვერდით დავდგებით.“

მიუხედავად ამისა, ტელეგრამ არხის „ჯავახის“ მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციას მყისიერი რეაგირება მოჰყვა სხვადასხვა ონლაინ მედია პლატფორმებზე და იგი არმენოფობიური განწყობების გავრცელების წყაროდ იქცა. ტელეგრამ არხზე გამოქვეყნებულ პოსტს არმენოფობიური განწყობებით ცნობილი ონლაინ მედია პლატფორმა [კავკაზპლიუსი](#)<sup>3</sup> გამოეხმაურა და ფონდი „სეპარატისტულ პროექტად“ მოიხსენია, რომლის მიზანიც საქართველოს წინააღმდეგ სომხეთის აგრესიის დაკანონებაა „ყარაბაღის სცენარით“.

<sup>1</sup> „Tv9news“, „ჯავახეთი სომხეთთან ერთად“ - ნინოწმინდაში საქველმოქმედო ფონდის ფილიალი გაიხსნა“, 23 თებერვალი 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2PenISf>

<sup>2</sup> „Jnews“, „ნინოწმინდაში, „ჯავახეთი სომხეთა გვერდით“ ფონდის ფილიალი გაიხსნა“, 23 თებერვალი 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/31tIFqj>

<sup>3</sup> „კავკაზპლიუსი“, „არის თუ არა სეპარატისტული ფონდი „ჯავახი სომხების გვერდით“ საფრთხე საქართველოს უსაფრთხოებისთვის?!“, 27 თებერვალი 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2NZhWOf>



წყარო: [tv9news.ge](http://tv9news.ge)

\* \* \* \*

აზერბაიჯანულ მედია პლატფორმაზე [day.az](http://day.az), გავრცელდა ინფორმაცია აფხაზეთში ყარაბაღელი სომხების ჩასახლების შესახებ. „ბოლო პერიოდში დაახლოებით 3-4 ათასი სომეხი იქნა ჩასახლებული აფხაზეთში“ - ვკითხულობთ [day.az](http://day.az)-ზე<sup>4</sup> გამოქვეყნებულ სტატიაში „ყარაბაღელი სომხები მასიურად ჩასახლდნენ აფხაზეთში - სეპარატისტების ახალი გეგმა“. სტატიაში ყარაბაღელი სომხები სეპარატისტებად არიან მოხსენიებული. იქვე აღნიშნულია, რომ აფხაზეთში უმრავლესობას სომხები წარმოადგენენ. სტატიის პირველ წყაროდ მითითებულია რუსული მედია პლატფორმა [smi6.ru](http://smi6.ru).



აზერბაიჯანული მედია პლატფორმის [day.az](http://day.az) ცნობით, სომხეთის ინტერესს რეგიონში დემოგრაფიული სიტუაციის ცვლილება და სომხების, როგორც ეთნიკური უმრავლესობის სტატუსის განმტკიცება წარმოადგენს. საგულისხმოა, რომ იდენტური გზავნილებით გამოაქვეყნა სტატია ქართულენოვანმა, არმენოფობიური განწყობებით ცნობილმა ონლაინ მედია პლატფორმამ [კავკაზპლიუსმა](http://კავკაზპლიუსმა).<sup>5</sup> 9 თებერვალს მათ გვერდზე გამოქვეყნდა [სტატია](http://სტატია) „სომეხი მიგრანტები მასიურად „შევარდნენ“ ოკუპირებულ ქართულ აფხაზეთში“. სტატიაში მითითებული არაა არც პირველწყარო და არც ავტორის ვინაობა, თუმცა მასზე თანდართული ფოტო, ანალოგიურ საკითხზე [day.az](http://day.az)-ზე გამოქვეყნებული სტატიის ფოტოს იდენტურია, რაც მათ შორის ურთიერთკავშირის ეჭვს აჩენს. სტატიაში ვკითხულობთ: „აშკარაა, რომ სომეხთა მიერ აფხაზეთის დასახლების პროცესი უკონტროლო და „ზვავის მსგავს“ ხასიათის იძენს. სანამ აფხაზები აზრზე მოვლენ, მათ

<sup>4</sup> „day,az“, „ყარაბაღელი სომხები მასიურად ჩასახლდნენ აფხაზეთში-სეპარატისტების ახალი გეგმა“, 9 ნოემბერი 2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3u0ODKz>

<sup>5</sup> „კავკაზპლიუსი“, „სომეხი მიგრანტები მასიურად „შევარდნენ“ ოკუპირებულ ქართულ აფხაზეთში“, 9 თებერვალი 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Ph7h2b>

სეპარატისტულ „დამოუკიდებელ სახელმწიფოს“ შეიძლება მშვიდად დაერქვას „ზღვისპირა სომხეთი“. აღნიშნული ინფორმაცია [„ანტიფეიკა“](#) ვებგვერდმა საქართველოში სომხეთის რესპუბლიკის საელჩოში გადაამოწმა, სადაც განაცხადეს, რომ ინფორმაცია აფხაზეთში სომხების მასობრივი ჩასახლების შესახებ არის **სიცრუე**. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში, Covid 19 პანდემიის გამო საქართველოს სახელმწიფო საზღვარი სომხეთთან ჩაკეტილი იყო და შესაბამისად, ათასობით სომეხი მოქალაქე საზღვარს საქართველოს მიმართულებით ვერ გადმოკვეთდა.

აფხაზეთში სომხების მასობრივ ჩასახლებასთან დაკავშირებით დეზინფორმაცია გავრცელდა ფეისბუქ ჯგუფებში: [„აფხაზთა კრება“](#), [„დევნილები დევნილებისთვის“](#) და [„სახალხო ეროვნული მოძრაობა“](#). პოსტებზე ონლაინ ინტერაქციამ კი 33,000 ადამიანს გადააჭარბა.



## 5. სოციალურ მედიაში გავრცელებული ანტიაზერბაიჯანული ნარატივები

მთიან ყარაბაღში სამხედრო დაპირისპირებას თან სდევდა საქართველოში ანტიაზერბაიჯანული გზავნილების გაღვივება. რუსულენოვან მედია პლატფორმებსა და სოციალურ ქსელებში ცდილობდნენ საქართველოსთვის მტრის ხატის შექმნას აზერბაიჯანის სახით, რომლის უმთავრესი მიზანიც საქართველოს ტერიტორიული ოკუპაციაა. სოციალურ და ონლაინ მედიაში რეზონანსული აღმოჩნდა დეზინფორმაციული შინაარსის მქონე პლაკატები წარწერით: „მარნეული აზერბაიჯანის ტერიტორიული ერთეულია, სახელწოდებით [„ბორჩალო“](#)“.

რეგიონში არსებული დაძაბულობის ფონზე მსგავსი ტიპის დეზინფორმაციული პლაკატების გავრცელება ხელს უწყობს ანტიაზერბაიჯანული განწყობების გაღვივებას საქართველოში. მნიშვნელოვანია, რომ დეზინფორმაციის პირველწყარო რუსულია. გარდა ამისა, დეზინფორმაცია ძირითადად ვრცელდება არა სომხურ ან აზერბაიჯანულ, არამედ რუსულ ენაზე.

\*\*\*\*

2021 წლის იანვრიდან, სომხურ და რუსულენოვან ტელეგრამ არხებსა და ონლაინ მედია პლატფორმებზე - [kentrion.am](#), [MAMUL.am.ru](#), [Hay mtorum](#) გავრცელდა იდენტური შინაარსის პლაკატები, სადაც მარნეული მონიშნულია აზერბაიჯანის ტერიტორიად და ჩანაცვლებულია



სიტყვა „ბორჩალოთი“. თითოეულ პოსტს თან ახლავს რუსულენოვანი წარწერა, რომ აღნიშნული პლაკატი წარმოადგენს აზერბაიჯანული მხარის პროპაგანდას და „მადა ჭამაში მოდის“. აღსანიშნავია, რომ დეზინფორმაციული პლაკატები, საქართველოს გარდა, გავრცელდა სომხეთის, ირანის და რუსეთის ტერიტორიული ერთეულების მიმართაც. პლაკატს თან ახლავს რიტორიკული შეკითხვა, თუ ვინ იქნება აზერბაიჯანის შემდეგი სამიზნე.

დეზინფორმაციის პირველწყაროს წარმოადგენს ჯერ კიდევ 2019 წელს, რუსულენოვანი საინფორმაციო პლატფორმის [AZERBAIJAN online](http://AZERBAIJAN.online) მიერ გამოქვეყნებული პოსტი პლაკატების სახით, წარწერით: „დაიმახსოვრე.შეინახე.გააზიარე“. დეზინფორმაციული პლაკატები განხილვის საგანი კვლავ გახდა 2020 წლის აგვისტოში, როდესაც რუსულენოვან ონლაინ პლატფორმაზე [zen.yandex.kg](http://zen.yandex.kg) გავრცელდა ინფორმაცია, სათაურით „აზერბაიჯანის ტერიტორიული პრეტენზიები.“ პოსტში განხილულია მარნეულის შესახებ გავრცელებული დეზინფორმაციული პლაკატი და აღნიშნულია, რომ აზერბაიჯანს ტერიტორიული პრეტენზიები, არა მხოლოდ სომხეთთან, საქართველოსთანაც გააჩნია მარნეულის სახით. რეგიონში არსებული დაძაბულობის ფონზე, მსგავსი ტიპის დეზინფორმაციული ნარატივების გავრცელება და საქართველოს სტრატეგიული მოკავშირისა და მეზობელი ქვეყნის აზერბაიჯანის სახით მტრის ხატის შექმნა, დეზინფორმაციული კამპანიის სახიფათო გზავნილია.



AZERBAIJAN online  
27 Oct 2019

Запомните, сохраните и поделитесь.  
#азонлайн\_интересное



Аппетит приходит во время еды.  
Пропагандистские плакаты, распространяемые азербайджанскими ресурсами

00:25, Среда, 20 Января, 2021 года



Пропагандистские плакаты, распространяемые азербайджанскими ресурсами.

Армения, Иран, Ирак, Грузия, Россия. Кто следующий?